ა(ა)იპ ქ. გორის მუნიციპალიტეტის მერიის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება N2 საბავშვო ბაგა-ბაღის მიერ სხვადასხვა საკვები პროდუქტების (პურის და ფუნთუშის) შესყიდვა გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით

სავარაუდო ღირებულება - 4396 ლარი

გორი
2015

სარჩევი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეობისათვის.....

2. ტექნიკური დოკუმენტაცია .....

3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი .....

4. დანართი №1 რეკვიზიტები .....

5. დანართი №2 ფასების ცხრილი .....

ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის:

- ინსტრუქცია შეგიძლიათ იხილოთ **spa.ge**-ზე.

დამატებითი ინფორმაცია სატენდერო დოკუმენტაციის თაობაზე შეგიძლიათ მიიღოთ ქ. გორი, თოიძის ქ. N3-ში, ან ტელეფონზე, 577091881, ლეილა მანვეშვილი, სატენდერო კომისიის აპარატის წევრი.

ტექნიკური დავალება

შესყიდვის ობიექტი: სხვადასხვა საკვები პროდუქტი.
კლასიფიკატორის კოდი: CPV 15800000

უნდა განხორციელდეს შემდეგი სახის პროდუქტების მიწოდება:

№	საქონლის დასახელება	მახასიათებლები	განზომილება	რაოდენობა
1	თეთრი პური	ქვის, უმაღლესი ხარისხის, , გამჭვირვალედ შეფუთული, გამომცხვარი პურის წონა 500გრ.	ცალი	6160
2	ფუნთუშა	ახალი, ტკბილი, გამომცხვარი წონა 65-70 გრ.	ცალი	5600

მიწოდების ვადა : ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 წლის 31დეკემბრამდე (შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე - პური ყოველდღიურად, ფუნთუშა მოთხოვნის საფუძველზე.)

აუცილებელი პირობები:

- საქონლის მიწოდება განთავსების ადგილზე მიტანით ყოველდღიურად შემსყიდველის მისამართზე: ქ. გორი, თოიძის ქ. N3-ში, დილის 08:35-დან 09:15-მდე.
- მისაწოდებელი საქონლის რაოდენობა, ნორმა და გრაფიკი ცვალებადია, იგი დამოკიდებულია ბავშვთა დასწრებაზე, აქედან გამომდინარე შემსყიდველის მხრიდან აღნიშნულის ცვლილების თაობაზე წინასწარ ეცნობება მიმწოდებელს.
- საქონლის მიწოდება ხორციელდება შემდეგ მისამართზე: ქ. გორი, თოიძის ქ.N3-ში
- გამომცხვარი პურის წონა უნდა შეადგენდეს 500გრამს, დასაშვებია - 20 გრამის ნაკლებობა, სავალდებულოა ქვის პური იყოს შეფუთული (დაგრინული).
- აუცილებელია ტენდერში მონაწილე პრეტენდენტს გააჩნდეს ქვის პურის დამამზადებელი სააქმრო - საკუთარი.
- სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარში.
- შემოთავაზებული ფასი უნდა მოიცავდეს ყველა ხარჯს, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, ასევე ტრანსპორტირების ხარჯებს. ხარჯები, რომლებიც სატენდერო წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული, არ დაექვემდებარება ანაზღაურებას. სატენდერო წინადადების ფასი სისტემაში მითითებული უნდა იქნეს დღგ-ს გათვალისწინებით.
- ხელშეკრულების გაფორმებამდე, შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს ხარჯთაღრიცხვაში ჩამოთვლილი პროდუქციის ნიმუშები.
- პრეტედენტს უნდა გააჩნდეს საკვები პროდუქტების მიწოდების და ბავშვთა კვების სფეროში მუშაობის მინიმუმ ერთწლიანი გამოცდილება. აღნიშნული ფაქტების დადასტურების მიზნით პრეტენდენტი ვალდებულია სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად სისტემის მეშვეობით წარმოადგინოს ხელშეკრულებები ან/და მიღება-ჩაბარების აქტები.

* 20%-ზე მეტი ფასის დაკლების შემთხვევაში პრეტენდენტს მოეთხოვება ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთება.

ბ) პრეტენდენტებმა ტექნიკური დოკუმენტაციის სახით სისტემაში უნდა ატვირთონ შემდეგი დოკუმენტები და ინფორმაციები:

- ინფორმაცია კომპანიის რეკვიზიტების შესახებ (ორგანიზაციის ან ფიზიკური პირის დასახელება, იურიდიულ მისამართი, ტელეფონის/ფაქსის ნომერი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელ(ებ)ის სახელი და გვარი(დანართი №1).
- ფასების ცხრილი და მიწოდების გრაფიკი სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული ფასების ცხრილის მიხედვით (დანართი №2).
- ინფორმაცია ბავშვთა კვების სფეროში მუშაობის და საკვები პროდუქტების მიწოდების ერთწლიანი გამოცდილების შესახებ.
- ალტერნატიული წინადადება არ განიხილება.
- ანგარიშსწორებისათვის შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის უნდა გაფორმდეს მიღება-ჩაბარების აქტი. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს თანმხლები დოკუმენტაცია. ანგარიშსწორება მოხდება შემდეგნაირად: ერთი თვის განმავლობაში მიწოდებული პროდუქციის ღირებულება დაანგარიშდება და ჩაირიცხება არაუგვიანეს მომდევნო თვის 20 რიცხვისა.
- სატენდერო წინადადება ძალაშია მისი სისტემაში ატვირთვის დღიდან არანაკლებ 120 კალენდარული დღის განმავლობაში
- საქონლის მიწოდება განხორციელდება ტექნიკურ დავალებაში მოცემული პირობების გათვალისწინებით.
- საკვები პროდუქტების მიწოდებისას დაცული უნდა იყოს სანიტარული და ჰიგიენური ნორმები.
- საკვები პროდუქტები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს #301/ნ ბრძანებას „სასურსათო ნედლეულისა და კვების პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების სანიტარული წესების და ნორმების“ მოთხოვნებს.

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №

გორი „-----“ ---------- 201... წ.

....., წარმოდგენილი --.....---------, ---------- სახით, ერთის მხრივ (შემდგომში „შემსყიდველი“), და მეორეს მხრივ ---- „---------“, წარმოდგენილი მისი ------ ---------- სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“), სამივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები“, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე (SPA----------), გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში- ხელშეკრულება) შემდეგზე:

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3 „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

1.6 „სამუშაო“ - ხელშეკრულების მე-3 მუხლით განსაზღვრული ხელშეკრულების საგანი.

1.7 „ტექნიკური დოკუმენტაცია“ - შემსყიდველის მიერ სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი პირობები და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი (სისტემაში ატვირთული სატენდერო წინადადება და დოკუმენტაცია) დოკუმენტაცია, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სხვადასხვა საკვები პროდუქტების შესყიდვა (CPV.....) კერძოდ, პური და პურ-პროდუქტების შესყიდვა, სატენდერო დოკუმენტაციის პირობებისა და ------„----------“-ს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ღირებულება

ხელშეკრულებით ჯამური ღირებულება შეადგენს ---------- (----------) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების პარალელურად მოახდინოს შემოწმება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვისა და ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად, რომლის მიზანია მათი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებითა და სატენდერო დოკუმენტაციით

გათვალისწინებულ პირობებთან. ამასთანავე მიმწოდებელი ვალდებულია წინასწარ შეათანხმოს შემსყიდველთან ნებისმიერი სახის პროდუქტის ცვლილება.
3.2 შემოწმების ან/და ვიზუალური დათვალიერების შედეგად გამოვლენილ ნებისმიერ ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ აცნობებს მიმწოდებელს ნაკლის ან დეფექტის მქონე საქონლის შესახებ შესაბამისი მიზეზების მითითებით.
3.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ შემოწმებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3.4 მიმწოდებელმა ნორმების მიხედვით სისტემატურად უნდა აწარმოოს მისაწოდებელი პროდუქციის ხარისხის კონტროლი.
3.5 საქონლის მიწოდების პერიოდში ტექნიკურ ზედამხედველობას განახორციელებს შემსყიდველის მიერ შესაბამისად უფლებამოსილი პირი ან/და პირები. ტექნიკური ზედამხედველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეამოწმოს საქონლის ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობა. იმ შემთხვევაში, თუ ხარისხი არ აღმოჩნდება ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისი, შემსყიდველი უფლებამოსილია შეაჩეროს მიწოდების პროცესი.
3.6 ტექნიკური ზედამხედველი აცნობებს შემსყიდველს საქონლის მიწოდების ვადის გასვლის შესახებ.

4. საქონლის მიწოდების ვადები
მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება განახორციელოს 2016 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი
5.1 შესრულებული სამუშაოს, მათ შორის ეტაპობრივის მიღება-ჩაბარება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელის მოწერით, ტექნიკური ზედამხედველობის განმახორციელებელი პირის/პირების თანდასწრებით.
5.2 სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების მიზნით მიმწოდებელი წარუდგენს შემსყიდველს ყოველ მიწოდებაზე შესაბამის საგადასახო დოკუმენტაციას.
5.3 საქონლის მიღება-ჩაბარებას აწარმოებს .....
5.4 თუ მიღება-ჩაბარების აქტი უნდა გაფორმდეს განსაზღვრულ დღეს და ეს დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს, რაც არ ჩაითვლება მიწოდების ვადის გადაცილებად.
6. ბარანტია
6.1 გარანტია არ მოითხოვება.

7. ანგარიშსწორება

ანგარიშსწორების ფორმაა უნაღდო ანგარიშსწორება ეროვნულ ვალუტაში, რომელიც განხორციელდება შემდეგი სახით:

ა) ერთი თვის განმავლობაში მიწოდებული საქონლის ღირებულება დაანგარიშდება თვის ბოლოს და აღნიშნული თანხა ჩაერიცხება მიმწოდებელს არაუგვიანეს მომდევნო თვის 20 რიცხვისა.
ბ) ავანსი არ განიხილება

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 შემსყიდველი და მიმწოდებელი უნდა მოქმედებდნენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

8.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

ბ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;

გ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოების ღირებულება;

დ) წერილობითი ფორმით, გონივრულ ვადაში აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში

8.3 შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

ბ) განახორციელოს კ ო ნ ტ რ ო ლ ი სატენდერო დოკუმენტაციისა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების გათვალისწინებით;

გ) ხელი მოაწეროს სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტებს;

მიმწოდებლისაგან მოითხოვოს სამუშაოების წარმოებასთან დაკავშირებული ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია.

8.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

ბ) სამუშაოების შესრულების პროცესში შემსყიდველის შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას ნებისმიერი ნაკლი.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია, შესაბამისი მიზეზების მითითებით.

9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველის პირობების გაუარესება დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-20 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

11.1 თუ „მიმწოდებელი“ არ ასრულებს თავის ვალდებულებებს ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში, „შემსყიდველი“ წერილობითი ფორმით აფრთხილებს „მიმწოდებელს“ დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

11.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების მე-4 გათვალისწინებული ვადის დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.2% ოდენობით. თუ საჯარიმო თანხა მიაღწევს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13. დავების გადაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

13.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ..... ჩათვლით.

14.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად და სამივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

15. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი: მიმწოდებელი:

დანართი N1

რეკვიზიტები

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული მისამართი:

პრეტენდენტის ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

მომსახურე ბანკის დასახელება:

ბანკის კოდი:

ანგარიშის ნომერი:

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემოთავაზებული
სატენდერო წინადადების ფასი:

სატენდერო წინადადების
მოქმედების ვადა:

წინამდებარე სატენდერო წინადადება ძალაშია სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში წინადადების მიღების დაწყებიდან არანაკლებ 120 დღის განმავლობაში

დანართი N2

ფასების ცხრილი

პრეტენდენტის დასახელება _____

N	საქონლის დასახელება	მახასიათებელი	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	მთლიანი ღირებულება
1	2	3	4	5	6

შენიშვნა: * პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საბოლოო თანხა უნდა იყოს მოცემული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

პრეტენდენტის ხელმოწერა _____